

სტუდენტის ქცევის კოდექსი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) წარმოადგენს თვითმმართველობის პრინციპით მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და თსა-ს დებულების საფუძველზე.

აკადემიური ქმედებისა და ეთიკის საერთაშორისო ნორმების დანერგვის მიზნით, აკადემიამ შეიმუშავა სტუდენტის პროფესიული ქცევის კოდექსი, რომლის დაცვა სავალდებულოა თითოეული სტუდენტისთვის, როგორც ერთმანეთთან, ასევე პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთობისას.

კოდექსის მოქმედების სფერო ვრცელდება აკადემიის როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომისშემდგომი საფეხურების სტუდენტებზე.

სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს აკადემიის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და თავი შეიკავოს *არამართლზომიერი ქმედებებისა და გადაცდომებისაგან*, რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი:

- მეორე პირის დისკრიმინაცია რასის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, ან იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება. ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა;
- პლაგიატი - სხვისი ნაშრომის მითვისება, წარდგენა, ციტირება, მათ შორის ინტერნეტით მოძიებული მასალის, ავტორის სათანადოდ ციტირებისა და პირველადი წყაროს მითითების გარეშე;
- წინასწარი ნებართვის გარეშე, სხვადასხვა მოწყობილობის, მათ შორის უსადენო კომუნიკაციის ხელსაწყოების და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების უნებართვო გამოყენება ტესტური გამოცდის, ქვიზის ან სხვა ნებისმიერი შეფასების პროცესის მიმდინარეობისას;
- ტესტ-კითხვარის, გამოცდის, ქვიზის, ლაბორატორიული ანგარიშის, პრაქტიკული სამუშაოს ან სხვა ნებისმიერი ნაშრომის პასუხების გადაწერა სხვა სტუდენტთაგან.
- გამოცდის მიმდინარეობისას, საგამოცდო სივრცის გარეთ სხვა პირთან კონსულტაცია ან მასალის გადახედვა; (მათ შორის წიგნი, კონსპექტი და ა.შ)
- საგამოცდო ტესტ-კითხვარების, ბილეთების ან სხვა ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი მოპოვება, გამოძალვის, ქურდობის, მოსყიდვის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი ხერხით.
- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის, მათ შორის საკურსო ნაშრომის, პრეზენტაციის და სხვა დამოუკიდებელი დავალების ფარგლებში ნაყიდი ან ნაპარავი შრომის წარდგენა;
- სხვა პირის განსახიერება ან სხვა პირის წარმოდგენა განსახიერების მიზნით პირადი, წერილობითი ან ელექტრონული სახით;
- საკუთარი ან სხვა პირის პირადი ინფორმაციის, ან აკადემიური მოსწრების ამსახველი ინფორმაციის შეცვლა და დამალვა, ჩარიცხვის ამსახველი დოკუმენტების, აკადემიური ტრანსკრიპტების, აკადემიის მიერ გაცემული ცნობების, წერილების, რეკომენდაციების გაყალბება ნებისმიერი სახით;

- აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით სახეცვლილი, ყალბი ან თაღლითური გზით მოპოვებული დოკუმენტების წარდგენა, მათ შორის ჯანმრთელობის ცნობა, სამგზავრო ბილეთი, ფინანსური დოკუმენტაცია და სხვ.
- სახეცვლილი ან ნაყალბევი საგანმანათლებლო დოკუმენტაციის წარდგენა აკადემიაში ჩარიცხვის ან კრედიტების აღიარების მიზნით.
- სტუდენტების მიერ ერთმანეთისათვის სხვადასხვა წერილობითი ნაშრომის, მათ შორის ესსეების, საგამოცდო ან საკონტროლო კითხვებისა და პასუხების, ტესტ-კითხვარების ან სხვა ნებისმიერი დავალების შეთავაზება და გაზიარება; სხვადასხვა ნაშრომის ურთიერთგაცვლა-გაყიდვა და გაზიარება ნებისმიერი სხვა გზით;
- სხვა სტუდენტისაგან ან აკადემიური პერსონალისაგან დახმარების მიღების ნებისმიერი ფორმით მცდელობა, გადაწერა და აკადემიური თაღლითობის ხელშეწყობა საგამოცდო პროცესის, საკონტროლო წერისა და ნებისმიერი სხვა დავალებების შესრულებისას;
- აკადემიის ინვენტარის დაზიანება და ზარალის მიყენება;
- აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით, სხვა სტუდენტის აკადემიური ნაშრომის შეცვლა/დაზიანება;
- ლაბორატორიული ინვენტარის დაზიანება ან ნებისმიერი სხვა სახის ზარალის მიყენება, როგორც პრაქტიკული მეცადინეობისას, ასევე კვლევითი საქმიანობისას;
- სხვა სტუდენტის საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, აკადემიის საკუთრების არამიზნობრივად გამოყენება, სახეცვლა, დამალვა ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;
- სასწავლო პროცესთან და სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის, მათ შორის ცხრილების, სილაბუსების, სასწავლო ჰენდაუთების და სხვ. მოპოვება, მოტყუების, გამოძალვის ან ქურდობის გზით, მათი სახეცვლა შემდგომში გამოყენების მიზნით;
- ინტელექტუალური საკუთრების და აკადემიაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციული რესურსის გავრცელება, გაყიდვა ან არამიზნობრივი გამოყენება, ნებისმიერი სახის მოგების მიღების მიზნით, ავტორის ნებართვის გარეშე.
- საგამოცდო ცენტრის განაწესის დარღვევა, საგამოცდო პროცესის ჩაშლის და ხელის შეშლის მცდელობა, აკადემიური უპირატესობის ან სხვა სტუდენტის დისკრედიტაციის მიზნით;
- სხვადასხვა სასწავლო კურსისა და დეპარტამენტის მოთხოვნების, ინსტრუქტაჟისა და განაწესის დარღვევა, მათ შორის ლაბორატორიული და კლინიკური დისციპლინების, როგორც თსა-ში, ასევე აფილირებულ კლინიკებში; აფილირებულ კლინიკებში შიდა რეგულაციების და მითითებების უგულვებელყოფა;
- უხამსი, არაეთიკური ან სხვა ამორალური ქმედება აკადემიის ტერიტორიაზე ან აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, მათ შორის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება ან მათი ქმედების ქვეშ აკადემიაში გამოცხადება.
- სტუდენტის პროვოცირება, აზარტული თამაშების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობისათვის.
- არასწორი/ნაყალბევი ინფორმაციის შემცველი საჩივრის წარდგენა პედაგოგის, სტუდენტის ან ადმინისტრაციული პერსონალის წინააღმდეგ;

- აკადემიის თანამშრომელთა მოხსენება მიუღებელი ფორმით და სხვათა წაქეზება ანალოგიური ქმედებისკენ;
- აკადემიის სტუდენტების და პერსონალის დაშინება, ცრუ ინფორმაციის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი სახის ზეწოლის საშუალებით და ამით აკადემიის რეპუტაციისათვის ჩრდილის მიყენება.

სტუდენტის მხრიდან არამართლზომიერი ქმედების არსებობის საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნიშნავს **საგამომიებლო ოფიცერს** აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალიდან, ბრალდების სპეციფიკის, სიმძიმის და გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც ჩაატარებს წინასწარ მოკვლევას.

წინასწარი მოკვლევის მიზანია, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი დისციპლინარულ დარღვევას და გადაცდომას. საგამომიებლო ოფიცერი მოხსენების სახით ანგარიშს აბარებს ხარისხის მართვის სამსახურს, რომელიც საკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრავს დარღვევის სახეს და იწვევს **ადმინისტრაციულ კომიტეტს**, რომელიც დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე განსაზღვრავს შესაბამის სანქციებსა და შემდგომ ღონისძიებას.